**№ 95** მაისი 5, კვირა — 1891 — მაისი 5, კვირა **№ 95**

# ივერია


გაზეთის ფასი

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აჭელის ქუჩა, ი. გარანცოვის ძველს პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს 8 მაისს

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მანეთი და 25 კაპ.

კვირას 12 მაისს
**მუშტაიდის ბაღში**
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართული იქმნება
სახალხო სეირნობა
**ლოტარია-ალეგრითა**
დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.

## ახალი ამბავი

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ კიდევ მიიღო შეწირულებანი ლატარია-ალეგრისათვის: კნ. ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინოვისაგან 25 მან. ფულად და კნ. სალომე ჯანდიერისაგან ლიკიორის ჭურჭელი და ექვსი ცალი ნესესერი.

*** როგორც ეტყობათ, მიუგნიათ იმ ბოროტ-განმზრახველებისათვის, რომელთაც საფოსტო ვაგონის გაძარცვა მოინდომეს და ამისათვის 30 აპრილს, გათენებისას, ბაქოსაკენ მიმავალს მატარებელში დრო უდროვეს და შეძრენ საფოსტო ვაგონის ფანჯარაში. „ნოვოე ობოზრენიე“ ამბობს, რომ ეს ბოროტ-განმზრახველნი დაუჭერია კიდეც ძეგამის ბოქაულს მირზოევს. ესენი ყოფილან ორი ძმა თათარი, რომელნიც სცხოვრებენ რკინის გზიდამ რვა ვერსის მანძილზე და ამ მხარეს ყველანი დახელოვნებულ მძარცველებად იცნობენ ამათაო.

ბ-ნი სოლოდოვნიკოვი დაიბარეს ძეგამს, წარუდგინეს დაჭერილნი, ერთი იმათგანი იცნო და სთქვა, ეს ის თათარია, რომელიც ჩემს ვაგონში შემოვიდაო. თათარი უარს ჰყოფდა, დამნაშავე არა ვარო. როცა პირველი ჩვენება ჩამოართვეს იქვე პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ ბოქაული, ფოსტის მოხელე სოლოდოვნიკოვი, მამასახლისი და ჩაფრები სულ ერთიანად წავიდნენ და დაათვალიერეს ეზო-მიდამო დაჭერილის თათრისა. ბაგაში ჰპოვეს რამდენიმე სხვა და სხვა იარაღი, ხალიჩები საქონლის მატარებლის ვაგონიდამ ჩამოხსნილი პლომბები და სხვათა შორის საფოსტო დოკუმენტის ნაგლეჯი ქაღალდი, რომელზედაც გვარი იყო მოწერილი რკინის გზის მატარებლის საფოსტო მოხელის ჯორბენაძისა.

იმედი აქვთო, ამბობს გაზეთი, რომ ამ ნაპოვნით აღმოაჩენენ იმ ბოროტ-მოქმედთაც, რომელთაც ამ ორი სამის წლის წინად ამ მხარეშივე გაძარცვეს ფოსტაო.

*** ორშაბათს, 6 მაისს, კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას კრება ექნება. ამ კრებაზე საზოგადოება მოისმენს წარსულის წლის ანგარიშს თავის მოქმედებისას.

თუ მკითხველს არ დაავიწყდა, ეს საზოგადოება ახალია, სულ ერთი წლიწადია, რაც არსებობს.

*** ამას წინადაც გვქონდა ნათქვამი, რომ ქალაქის მიდამოების საძოვარს ადგილებს, რომელიც ქალაქს ეკუთვნის, კალია მოედო და მაზრის უფროსმა ეს ამბავი აუწყა კიდეც ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ღონის ძიება იხმარეთ ამის წინააღმდეგაო. ეხლა, როგორც შევიტყევით, ადმინისტრაციის განკარგულებით ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდგან 600-მდე გლეხი დაუბარებიათ და კიდეც შესდგომიან კალიის გაწყვეტას. ადმინისტრაციას უანგარიშნია, რომ ამ ხალხის გამოსაკვებად ოცის დღის განმავლობაში, კაცის თავზედ რომ დღეში სამი გირვანქა პური ვიანგარიშოთ, 900 მანათი დასჭირდება და ეს ფული ქალაქმა უნდა გადაიხადოსო. ეს მოწერილობა ადმინისტრაციისა საბჭომ უნდა განიხილოს.

*** ქუთაისი: წარსულის წლის მარტში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ-ნმა იანოვსკიმ ქაღალდი მოსწერა ჩვენის პროგიმნაზიის ინსპექტორს, წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებანი შესახებ პროგიმნაზიის რეალურ სასწავლებლად გადაკეთებისაო. აღმოჩნდა, რომ პროგიმნაზიის რეალურ სასწავლებლად გადაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ 21 ათასი მანეთი ექნება სასწავლებელს წლიწადში. პროგიმნაზიას ეძლევა ხაზინისაგან 18 ათასი მანათი წლიწადში, მაშასადამე კიდევ აკლდება მომავალ რეალურ სასწავლებლის ხარჯის შესავსებლად 3 ათასი მანეთი. რადგან იმედი არ არის, რომ ხაზინამ იმაზე მეტი გაიღოს, რამდენსაც დღეს იძლევა პროგიმნაზიისათვის, ბ-ნმა ინსპექტორმა მიჰმართა ჩვენსის საადგილმამულო ბანკის მმართველობას და სთხოვეს, იშუამდგომლე მომავალის საზოდგადო კრების წინაშე და ეს 3 ათას მან. დაანიშნინე პროგიმნაზიისთვის ყოველ წლივაო.

„აქაური საზოგადოება, რომლისთვისაც, რეალური სასწავლებელი გიმნაზიაზედ ნაკლები საჭირო არ არისო — სწერს პროგიმნაზიის ინსპექტორი ბანკის მართველობას — ისარგებლებს ამ შემთხვევით და მხურვალედ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, რომ ქუთაისში რეალური სასწავლებელი დაიარსოსო“

რაღა თქმა უნდა, რომ რეალური სასწავლებელი, თუ მეტს არა, პროგიმნაზიაზე ნაკლებს სარგებლობას არ მოგვცემს. ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვისურვოთ, რომ მომავალს სათავად-აზნაურო კრებას, ესეც არის, გულ-დასმით, სავსებით და გარკვეულად განუმარტოს ეს ფრიად საგულისხმიერო საგანი. თუ ასე იქმნა, იმედი გვაქვს, ქუთაისის თავად-აზნაურობა ხელს მოუმართავს ამ საქმეს.

## ფელეტონი

### ჩვენი დედაკაცები და ახალი დრო

წინასიტყვაობისებური

ვინც კი ჩვეულია, რომ გულ მოდგინედ უფიქრდებოდეს თავის გარეშემო ყოფა ცხოვრებას, უეჭველია, შეჰნიშნავდა, რა ღრმად და ძირიან-ფესვიანად იცვლება ამ ათისა და ოცის წლის განმავლობაში ცხოვრება ჩვენის საზოგადოებისა. გონება აწეთის და ფიქრებულის მკვლევარისა უნებლიედ მიიწევს წარსულისაკენ და უნებლიედვე ესცდილობს შეუდაროს ძველებური დრო, დრო მამა-პაპათა, ახალს დროს; სცდილობს შეუწონოს ძველებური, საუკუნოებით დამკვიდრებული ვითარება ჩვენის ერის წარსულის ცხოვრებისა იმ ვითარებას, რომელიც დამკვიდრდა შემდეგ და დღესაც მკვიდრდება ჩვენ თვალ-წინ.

მერე რა დიდი გარჩევა სჩანს, რა დიდი მანძილია გავლილი და რამდენი დიდად საგულისხმიერო, ხან სასიამოვნო და ხან სამწუხარო ამბავია მომხდარი ამ დიდს მანძილზედ!

გამოცვლილა ამ ხანში და დღესაც ცვლილებაშია ჩვენის ქვეყნის მთელი საზოგადოებური აგებულება და წესწყობილება.

ამ აგებულებასთან ერთად იცვლება, რასაკვირველია, ჩვენი ზნე-ჩვეულებაც, ჩვენი ფიქრიცა და აზრიც. ასეთი ძირიან-ფესვიანი ცვალება, რღვევა და რყევა ძველისა და მოვლინება ახლისა, როგორც ყველგან სხვაგანაც, ჩვენშიაც მარტო ჩვენ გარეშე-კი არა სწარმოებს, არამედ თვით ჩვენს გულშიაც მუშაობს, მარტო გარეშე ვითარებას-კი არ შეეხება, არამედ თვით იმათაც, ვისგანაც ჩვენი საზოგადოება შესდგება.

თუ ასე იარა საქმემ, თუ ისეთისავე ძალითა და ფრთა-გაშლილობით იმდინარა ცხოვრებამ, როგორც დღემდე იყო,—ხოლო არავითარი ნიშანი არა სჩანს, რომ ან შესუსტდეს ეს მიმდინარეობა და ან შესდგეს სრულიად,—უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენის ქვეყნის სახე, მისი გარეგანი ვითარება რამდენსამე ხანს შემდეგ სრულიად გამოიცვლება. იმის თქმა-კი ძნელია, რასაკვირველია, რომ ქვა-ქვაზედ აღარ დარჩებაო, იმიტომ-რომ ქვა მერმისის შენობის აგებისათვის უსათუოდ უნდა დარჩეს, ხოლო ახლო წარსული-კი, რომელიც ბევრს ჯერ ისევ კიდევ კარგად ახსოვს და რომლის კვალი ეტყობა დღევანდელს ჩვენს ცხოვრებასაც, შესამჩნევად დაჰკარგავს თავისს ცხოველ-მყოფელს ძალას და, ვინ იცის, იქნება მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად და გადაიქცეს, ესე იგი სიცოცხლით სავსე ამბავი ცხოვრებისა მკვდარი და საისტორიო ამბავი-ღა შეიქმნეს.

ყოველ გვარი საპოლიტიკო და სამხედრო ქარ-ცეცხლი, რაც კი რამ თავს დაატყდა წარსულში ჩვენს მრავალ-ტანჯულს ერს და არყევდა თვით ბურჯებს მისის ცხოვრება-არსებობისას, არარაა იმ პირველის შეხედვით შეუმჩნეველსა და ჩუმს ცვლილებასთან, რომელიც მუშაობს ეხლა ამ ჩვენს დროს. იმ დიდსა და სახელოვან საქმეებს ჩვენის ისტორიისას შეეძლო მხოლოდ მოეტანა ერისათვის ხან ბედნიერება და ხან უბედურება, მაგრამ, ჩემის აზრით, სრულიად არ შეეძლო თავის განსაკუთრებულის თვისებისა გამო შესამჩნევად შეეცვალა საფუძველნი ერის ცხოვრებისა და დაებადნა სრულიად ახალი საზოგადოებური წეს-წყობილება. იმ ამბავისა და საქმეების გამო ერი ან ტანჯვა-წამებაში იყო, ან კეთილს ცხოვრებაში, ხოლო საზოგადოებური აგებულება და საკულტურო ზრდა ქვეყნისა ცოტად თუ ბევრად შეურყეველად იდგა ერთს დონეზედ. და აი სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ყოველი ამისთანა მრისხანე საქმე და ამბავი ერის თავს გადაიქროლებდა, მისის ცხოვრების ზედა პირზე გადასრიალდებოდა, გადაჰფხაჰნიდა და გადაჰკაწრავდა მხოლოდ კანს, გარნა თვით ერის აგებულების გულ ღვიძლს-კი ვერას აკლებდა.

სრულიად სხვასა ვხედავთ დღეს. ჩვენ თვალ-წინ სდგას ჩვენში ჯერ არ მომხდარი სანახაობა იმისი, თუ როგორ ჰქრება და ისპობა თან-და თან ყველა ძველებური საფუძველი ისტორიულის ცხოვრებისა და მის მაგიერ როგორ ჩნდება და იბადება ახალი მასალა, რომლისაგანაც უნდა აგებულ იქმნას საძერმისო შენობა ქვეყნის წეს-წყობილებისა. მართალია, ძველებურად აღარ იხმის არც ჰქაქუხალი, არც ჩხარა-ჩხური თოფ-იარაღისა, არც ტირილი და გოდება ერისა, მაგრამ მაინც იმ ღრმა ცვლილებას, რომელიც ემჩნევა ჩვენს ცხოვრებას, ვგონებ, მეტად დიდი და მრავალ-გვარი შედეგი მოჰყვება შემდეგში.

ჩვენის ფიქრით, ერთი უმთავრესი საქმე ჩვენის ინტელიგენციისა ის არის, რომ ალღო აართვას ამ დღევანდელს საისტორიო ვითარებას, ჩაუფიქრდეს და შეიგნოს დღევანდელი დროება, სავსე მრავალ-გვარისა და მრავალ კერძის დაუდეგელის ცვალებადობით. რაკი თვითონაც ამ ახალ ვითარების წყალობით გაჩნდა, იგი ინტელიგენცია მოვალეა ქვეყანას შეეწიოს და გააგებინოს ის ახალი წყობილება ცხოვრებისა და მით გაუნათოს ძნელად სავალელი გზა ჩვენის სამერმისო ზრდა-წარმატებისა.

წარსულის ცოდნა-გაგებას საკმაო სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ საქმეში, მხოლოდ იმ მხრით კი არა, რომ ვითომ წარსულს შეეძლოს მოგვცეს მზა-მზარეული წასაბაძველი ნიმუშები, ანუ მასალა საზოგადოებურის ზე-შთაგონებისა და აღფრთოვანებისათვის, არამედ იმ მხრით, რომ ამისთანა ცოდნისა და კეთილ-სინიდისიერის, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებულის გამოკვლევის შემწეობით უკეთ შევიგნებთ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას. ძებნა წარსულში სანატრელ-სასურველისა, ესრედ-წოდებულის იდეალებისა, ძებნა იქ ოქროს საუკუნესი, რომლის გამოც ოცნებობს მუდამ ერი, დღეს მძიმე ტვირთ-ქვეშ ჩავარდნილი, არა თუ სამეცნიერო და გამოსადეგი საქმე არ არის, არამედ, ჩემის აზრით, შეუძლებელიც არის. ამისთანა სურვილი, მართალია, შეიძლება დაებადოს ინტელიგენციის თითოეულს წარმომადგენელს და ამისათვის არავის ნება არ აქვს ავად მოიხსენიოს იგი, ამიტომ რომ შესაძლოა მასი განზრახვა-სურვილი წმინდა იყოს, კაცთ-მოყვარული და გულ-წრფელი, მაგრამ, ვგონებ, შეუძლებელია, რომ პირველსავე გატაცებას მალე არ მოჰყვეს მწარე გაცრუება ტკბილის ოცნება-იმედებისა.

მართლა ასეც უნდა იყოს: წარსულის ამისთანა განურჩეველ მოყვარეთა პროგრამას მუდამ ერთი დიდი ზადი აჩნევია და ის უკარგავს უმთავრეს ძალას. ეს ის ზადია, რომ ცხოვრება სხვასა ლალადებს, პროგრამა კი—სხვასა. შეიძლება, რასაკვირველია, მოუწოდებდეს ამისთანა კაცი ყველას, რუსების სლავიანოფილების მსგავსად, „დავბრუნდეთ უკანაო“, იმიტომ ვითომ რომ „შინ, სახლში“ თბილა და მზე სდგასო, ხოლო მოწოდებულნი, ჩვენის აზრით, არამც თუ არ გაუდგებიან მართლა ამ გზას, არამედ, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვერ მოახერხებენ, ცდით მაინცა სცადონ და ერთი ფეხი მაინც არის გადასდგან. რათა? რათა და იმიტომ რომ ლოღიკა ცხოვრებისა და ძალთა-მძლეობა დღევანდელის დღისა

*** **სოფელი კეხვი.** (გორის მაზრა): ამ დღეებში მოჰპარეს გლახა გასპარაშვილს სამი სული საქონელი, რომელიც მთელი მისი სიმდიდრე იყო. თურმე ერთმა ვიღაც მთხრობელმა ოსმაც სამი მანეთი დახტყუა, მე მოგირეკავ შენს საქონელსაო, მაგრამ ჯერაც არ მოურეკნია და ის სამი მანათიც ტყუილ-უბუალოდ დაჰკარგა.

*** **ცხინვალი:** ცხინვალელები ძალიან ფაცი-ფუცში არიან, რომ თავიანთი დაძველებული ხიდი გააახლონ როგორმე. ორასი თუმანი უკვე შეუკრებიათ. ასი თუმანი ქართველობა-სომხობაში და ასიც ურიებში. სოფლელებისთვის-კი ხის მასალა შეუწერიათ. მასალას ეზიდებიან კიდეც ცხინვალში.

*** **ჯავისხეობა:** ამ სამის დღის წინად გასტეხეს სოფეთ კოშკის ეკკლესია, იქნება იმ განზრახვით. რომ დიდი სიმდიდრე დაგვხვდებაო

*** **ცხინვალიდამ გვ.** ჩვენსაკენ მოსავალს კარგი პირი უჩანს, როგორც პურნახულისას, ისე ვენახებისაც, თუ ამ მაისმა ნამი არ დაიშურა, ან კალია და ან სეტყვა არსაიდამ გამოგვიტყვრა ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ექნება.

*** 4 მაისს გრიბედოვის ქუჩაზე პეტრე გრინევს მოჰპარეს 117. მანეთისა და 50 კ. ოქრო-ვეცხლეული. ქურდობას აბრალებენ ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრებლს რასუ ოხი-ოღლის, რომელიც უკვე შეიპყრეს. საქმე გამოძიებაში.

*** ამ თვის 3, საღამოს 8 საათზე, როზოვის მოედანზე ვიღაც უცნობი კაცი უეცრად გარდაიცვალა. ჯიბეში ნაპოვნ ქაღალდიდგან სჩანს, რომ მიცვალებული უნდა იყოს იაგორ ცოლოკიანცი. გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს;

*** ამავე დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალაქის სამკურნალოსთან სოფ. უწერის მცხოვრებლმა თედორ უზნაძემ სიმთვრალის დროს დანა დაიცა ყელში. უზნაძე სამკურნალოში გაჰგზავნეს დაშავებული მსუბუქად არის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. დარკოხი.** (კავკავის მაზრა) აპრილის 29. საზოგადოდ ბარის ოსეთში და ამ დარკოხშიაც პირველი არ არის სხვა-და-სხვა უბედურება და საზიზღარის ბოროტების ჩადენა, მაგრამ რა საზიზღარი და საშინელი უბედურებაც ამ თვის ოც-და-ხუთს, ღამით, მოხდა დარკოხში, მგონი, ჯერ არავის გაუგონია. სოფ. დარკოხში მცხოვრები სალამჯერი სალამოვი სოფ. დარღავში არის მასწავლებლად. სადღესასწაულოდ სალამჯერი თავისს სახლში, დარკოხში, იყო მოსული. სალამჯერს ოც-და-ოთხს ამ თვეს ეწვია სტუმრად დარღავის სამრევლოს მღვდელი გახოკიძე თავისის ცოლ-შვილით და ორი კიდევ სხვა დარღაველი ოსიც 25-ს კიდევ ორი ბესლანელი სოფლელი ოსიც ეწვია სალამჯერს, და ყველანი სალამჯერ სალამოვთან დარჩნენ ღამე. სალანჯერი კარგა შეძლებული კაცია, საჯალაბო ე. ი. კერიანი სახლი ცალკე აქვს და სასტუმროები—ცალკე; სხვათა შორის სალამოვს, ერთი სახლი ქუჩისკენ ედგა. ეს სახლი განიყოფება ს სამ ოთახად, ერთში თვითონ იძინებდა ხოლმე და ორიც სასტუმროდ ჰქონდა. ამ სამს ოთახში მოთავსდნენ ყველანი 25 აპრილს, ღამე: სალამოვი თავისის ცოლ-შვილით, დარღავის მღვდელი თავისის ცოლ-შვილით და სხვა სტუმრებიც, სულ დიდიან პატარიანად ცხრამეტი სული. საბრალოები ტკბილს ძილში იყვნენ შესულნი, რომ ბოროტმა სულმა მოინდომა ამოდენა ხალხის სულ ერთად გაქლეტა, მაგრამ მთლად არ ასრულდა იმას განზრახვა ბოროტ-მოქმედთ მიეტანათ მოზრდილის ბოჩკით მომზადებული ასაფეთქებელი „დინამიტი“ და განზრახვა ჰქონდათ ათივე სალამოვის მოკვლა, რადგანაც ჯავრი სჭირებოდათ მისი. გამოეთხარათ არა ის ალაგი, სადაც სალამოვი იწვა, არამედ იმ პირველის ოთახის საძირკველი, სადაც სტუმრები იწვნენ და შეედგათ შიგ ბოჩკა. ოთახი ფიცრის იატაკით იყო დაგებული და ორი ბესლანელი სტუმარი იატაკზედ წოლილიყო. სწორედ იმათ ქვეშ დაედგათ ბოჩკა. დანარჩენი სხვა ორი სტუმარი და ორი უმცროსი ძმა სალამოვისა იმავე ოთახის მეორე მხარეს წოლილიყვნენ, შუა ოთახში—თვით სალამოვი და დარღავის მღვდელი ცოლ-შვილით და მესამეში დანარჩენნი. შუა ღამე იქნებოდა სწორედ, რომ დაიქუხა ბოჩკამ. ქუხილი ისეთი საშინელი იყო, რომ მთელი დარკოხი ფეხზედ დადგა და ერთმანეთს მიაწყდ-მოაწყდა; ზოგი იძახდა, შეხი ჩამოვარდაო, ზოგი იძახდა, უთუოდ მაშინა მოდიოდა და ორთქლ-მავალი გასკდაო და სხვ. მაგრამ მალე სხვა უბედურება ჰნახეს. პირველის ოთახის ვერდები მაღლა ჭერი და თავხეები სულ ლუკმა-ლუკმა იყო დალეწილი, ორი ბესლანელი სტუმარი მაღლა აესროლა საბნებში გახვეული ლეიბებით, ერთი ძირსვე ჩამოვარდნილიყო და მეორე, მუცლით გადაკიდებული, ჭერის ხეზედ დარჩენილიყო. მათ ორივეს სული განეტევებინათ მეორე ორი სტუმარიც მაღლა შეესროლა; ერთი ძირსვე ჩამოვარდნილიყო და მეორე-კი მაღლა დარჩენილიყო. ორივენი მძიმედ არიან დაჩეჩქილნი, მორჩენა მათი საეჭვოა ერთი უმცროსი ძმა სალამოვისა ქუჩაში გადაეგდო და მძიმედ დაეჩეჩქა. მეორე ოთახის კედლებიც გაეგლიჯა და ლუმელისა და მაღლა ჭერის ხეების ნამტვრები სულ ზედ დაჰყროდა დარღავის მღვდელსა და იმის ცოლ შვილს, მაგრამ რაღაც განგებით არა დაუშავდა-რა საშიშო, მხოლოდ მღვდლის მეუღლეს და ერთს შვილს შუბლი გაუტყდათ მსუბუქად. სალამოვსა და მისს ცოლ-შვილს ოთახის მეორე მხრის კედელი გადანგრეოდა ზედ, მაგრამ არა დაუშავდათ რა. საბრალო სალანჯერ სალამოვი საშინელს ქუხილს შემდეგ წვალებით ძლივს გამოძვრა იმოდენა ხეების ნამტვრევების ქვეშიდამ და პირველადვე ის შეჰყვირა: „ჩემი სტუმრები რა იქნენო“. საშინელი და საზარელი ქვითინ-ხივილი იყო იმ შუაღამისას; მთელი სოფელი თავს დასტიროდა საბრალოებს. მეორე დღეს ყველგან მდევრები გაჰგზავნეს. ეს საზარელი ხმა ელვასავით მოედო გარეშე სოფლებს და ზღვასავით ხალხი მიაწყდა ყოველგნით და მეც, ამ სტრიქონების დამწერიც, მივედი სანახავად, მაგრამ რა? ენა ვერ გამოსთქვამს იმ საზარელს სანახავს, თუ თვით კაცმა თავისის თვალით არა ჰნახა. სული მიგუბდებოდა საცოდაობით, რომ დაინახე საზარლად მილეწილ-მოლეწილი იმოდენა ხეები, ადამიანის სისხლით მოსვრილ-მოთხუპნული და ოთხი მდევივით ვაჟკაცი გულ-აღმა დაწოლილი, ორი უკვე გარდაცვლილი და ორიც საშინლად დაჩეჩქილი... მეორე დღეს მოვიდა მაზრის უფროსი და გამომძიებელი. დაიწყო გამოძიება. სოფელმა დაუყოვნებლივ ერთ ხმად აღიარა დამნაშავედ სალამოვისავე მეზობელი დიგუროვი, რადგანაც დიგუროვი სალამოვს სისხლს ედავებოდა, და მართლაც, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, დიგუროვი დამნაშავე გამომდგარა და ოთხს დიგუროვს გაუკრეს ხელ-ფეხი. საკვირველება ის იყო, რომ დიგუროვმა ეს ასაფეთქებელი „დინამიტი“ როგორ და საიდგან ჩაიგდო ხელში. ოც-და-რვა აპრილამდე მიცვალებულნი ისევ დარკოხში იყვნენ, ოც-და-რვას-კი დაასვენეს ურმებზედ და წაიღეს ბესლანს.

ქართველი ოსებში

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არამც თუ რუსულს გაზეთებში, კერძოდ ტფილისის გაზეთებშიაც თითქმის დღე უოველ ორსა და სამს ამბავს ამოიკითხავთ, რომ აქ იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ყმაწვილი, იქ ორის

---

უფრო მძლავრად მოქმედობს, ვიდრე თეორიით შემუშავებული პლანები და სურვილები.

ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ უარყოფით უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს წარსულს, მხოლოდ იმიტომ რომ წარსულიაო, გავლილი გზაა, თავისი დრო მოჭმული აქვსო. სრულიადაც არა: თუ გნებავთ, წარსულში შესაძლოა ვეძებოთ, ასე გასინჯეთ ზოგიერთი ისეთი რამაც, რაც მერმისისათვის გამოგვადგება, მხოლოდ იმ აზრით-კი არა, რომ აღვადგინოთ იგი წარსული,—ეს როგორც ვსთქვით, ყოვლად შეუძლებელი და დონ-კიხოტური საქმეა,—არამედ იმ აზრით, რომ დავიცვათ და კვლავ დავიბრუნოთ ცნობილი ტიპი, ცნობილი მეტოდი საზოგადოებურის ზრდა-წარმატებისა. ამ სურვილსა და ზოგიერთა წარსულის განურჩეველ-მოყვარულთა სურვილს შორის დიდი განსხვავებაა და ეს განსხვავება, ჩემის ფიქრით, მუდამ საკმაო გარკვევით არ არის ხოლმე გამოცხადებული ჩვენის მწერლების ნაწერებში.

ნება მიბოძეთ უფრო გარკვევით განვმარტო ჩემი აზრი და მაგალითი ევროპის ისტორიიდამ დავასახელო. ვსთქვათ, გავერთე ევროპის ეხლანდელ მუშა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის ფიქრში, იმ ხალხის ფიქრში, რომლისათვის ამდენსა ჰზრუნავენ ამ ბოლოს დროს ევროპის თითქმის ყველა მთავრობანი. გავერთე ამ ფიქრში და შევუდარე მისი დღევანდელი ყოფა მუშა-კაცის ყოფას იმ წარსულს დროს, როცა ევროპის მუშა-კაცი დამოუკიდებელი ხელოსანი იყო, ხოლო დღევანდელი ბოგანო სოფლისა,—თავისუფალი, მამულის პატრონი გლეხ-კაცი, მისი ნაშრომის ნაყოფი მისივე სრული საკუთრება იყო. რა გასაკვირველი იქნება, რომ იმ წინანდელს ხელოსანსა და თავისუფალს გლეხკაცს უფრო შევნატრო, ესე იგი წარსული დავამჯობინო აწმყოსა.

ხოლო საკითხავი ეს არის, რა მხრითა და რა აზრით დავამჯობინო?

ეჭვი არ არის, ეხლანდელი მუშა-კაცი გაშორებით უკეთესად სცხოვრებს, ვიდრე მისი წინანდელი თანამოძმე. ქონებითაც, ზნეობა-გონების წარმატებითაც, თავის სამოქალაქო უფლება-მოვალეობის ცოდნითაც ეხლანდელი მუშა-კაცი ბევრად მაღლა სდგას თავის პირვანდელს, სწორედ რომ ვსთქვათ, ღარიბსა და უვიცს, ნაკლებად წარმატებულს წინაპარზე. არც ერთი ეხლანდელი დასავლეთ ევროპის ბოგანო ნება-ყოფლობით, დარწმუნებული ვარ, არ გასცვლის თავისს ყოფას ძველებურ ხელოსნის ყოფაზე, არ გასცვლის რასაკვირველია, იმიტომ რომ მისი ცხოვრება უფრო მდიდრული ცხოვრებაა, უფრო რთულია, წარმატებულია, დასასრულ, უფრო ადამიანურია, ვიდრე იმ წინანდელ ხელოსნისა.

მაგრამ ამასთანავე ძველს მის ცხოვრებას ერთი ისეთი თვისება ჰქონდა, რომლის შეძენა დიდად სასურველი და სანატრელია ეხლანდელის მუშა-კაცისათვის. მხოლოდ ამ მხრით და სწორედ მარტო ამ მხრით შეუძლიან ეხლანდელს მუშა-კაცს შეჰნატროდეს თავისს უფრო ბედნიერს წინაპარს და ისურვოს განხორციელება ეხლაც ზემოხსენებულის წარსულის ცხოვრების თვისებისა. ეს ის თვისებაა, რომ მუშა ხალხი წარსულში შედარებით უფრო დამოუკიდებელი იყო. რა ვუყოთ, რომ მისი შრომა უხერხული იყო, მცირე ნაყოფის მომცემი, უშნო და ულაზათო. სამაგიეროდ ამ შრომის ნაყოფი მარტო მშრომელს რჩებოდა სრულიად და სავსებით. რა ვუყოთ, რომ მისი მოთხოვნილება, როგორც ზნეობა-გონებრივი, ისე ქონებრივი მეტად მცირე იყო. სამაგიეროდ ღონისძიება მოეპოვებოდა, რომ სრულიად და სავსებით დაეკმაყოფილებინა იგი მოთხოვნილება. ბედნიერება, ანუ უკეთა ვსთქვათ, კმაყოფილება ვერაფერი შესაშურებელი ბედნიარებაა, თუ შეძენილია მით რომ შევგიმცირებია სხვა და სხვა მოთხოვნილება, რომელთა გამრავლებასა და გავრცელებას შეუძლიან მხოლოდ კაცი კაცად აქციოს; ვერაფერი ბედნიერება და კმაყოფილებაა, თუ შეძენილია მით რომ, მართალია, სიღარიბე მოგიშორებია თავიდამ, მაგრამ ცხოვრებაც შენი ამასთანავე გადაგიქცევია არარაობად მაგრამ სამაგიეროდ ტანჯვა ამ მოთხოვნილებათა სიმცირისა და ცხოვრების უარარაობის გამო ძველებურის ხელოსანისა და დამოუკიდებელის მცირე მამულიანის გლეხ-კაცისა ისე მწვავე არ იყო, როგორც ეხლანდელის მუშა კაცის ტანჯვაა. ძველებური ხელოსანი და გლეხ-კაცი თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო თავისს საქმეებში; თავის დროსა და ღონეს ისე ხმარობდა, როგორც ჰსურდა და როგორც თვითონ განსჯიდა. ერთი სიტყვით თავის საქმის პატრონი და თავის ბედ-უბედურობის მიზეზი თვითონვე იყო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ განა შესაძლებელია ამ შედარების გამო დავასკვნათ ის აზრი, რომ საჭიროა აღვადგინოთ ეხლანდელს დროშიაც ძველებური წესი ცხოვრებისა, „დავბრუნდეთ უკან, შინ“, გადმოვნერგოთ წარსული მერმისში?

გზა-გასისწორეველმა და ცალკერძ გატაცებულმა კაცმა იქნება გვიპასუხოს, დიაღაც საჭიროაო და მიჰყვეს ოცნებას წარსულის დიდებისა და თავის წინაპართა ქველობა სათნოების გამო. მაგრამ ლოღიკა და საღი ჭკუა-გონება-კი იტყვის, არა, არც საჭიროა და არც შესაძლოაო. პირველს შემთხვევაში შეგვრჩება ხელში ძველის მიმყოლი იდეალიზმი, იდეალიზმი უკან ჩამორჩენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში—იდეალიზმი წარმატებული. პირველს შემთხვევაში შეგვრჩება ხელში წარსულის ყმური მორჩილება, განურჩეველი მისი თაყვანი ცემა, ხოლო მეორე შემთხვევაში—კრიტიკული, დასაბუთებული განხილვა მისი, ისეთი განხილვა, რომლის შემწეობით შესაძლოა იქნება კაცი საბუთებით დაიყოლიოს და არა მით, რომ გაუხურო ბრმა გულის-ვნებანი და ინსტინქტები.

მართლაცა და მოსპობა, წაშლა უკვე გავლილის საისტორიო გზისა, იმ გზისა, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა წარსულიდამ მერმისისაკენ, არა თუ შეუძლებელია (სოციალურს მკურნალობაში არ არის ასეთი ღონისძიება), არამედ, ვგონებ, არც სასარგებლოა. მთელი ის დრო და ხანა, რომელიცა სძევს შორეულს წარსულსა და მოსალოდნელს მერმისს შორის, იმითია შესანიშნავი, რომ ცხოვრება მრავალ-გვარს განკარგებასა და წარმატებაში შევიდა. როგორღა უარჰყოს ახლა კაცმა ეს მაღალი ცივილიზაცია, მრავალი მისი მოსალოდნელი ტკბილი ნაყოფი და დაუნანებლადა და დაუფიქრებლად მიჰმართოს პირვანდელს წეს-წყობილებას ძველებურის დროებისას?! განა ცხადი არ არის, რომ, რაკი უკეთესის წესისა და რიგის დამყარებას ვეტანებით სამერმისოდ, ამიტომ საჭიროა, რომ სამერმისო წეს-წყობილებაში გადავიტანოთ ის სანუკარი და ძვირფასი თვისება წარსულისა, რომელიც მეტს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ანიჭებდა მშრომელს ხალხს, ხოლო დანარჩენი ადგილი დავუთმოთ იმ მრავალ გვარს სიკეთეს, რომელიც შეიმუშავა და შეიძინა ეხლანდელმა წარმატებულმა კულტურამ. მერმისი უნდა აშენდეს კარგისა და საიმედო მასალისაგან, სადაც უნდა იყოს მოსაძებნი იგი კარგი და საიმედო მასალა, წარსულსა თუ ახლანდელს დროში. იმ კაცს, რომელიც ზრუნავს მერმისისათვის, უნდა შეეძლოს გადარჩევა ამ მასალისა, ესე იგი უნდა კრიტიკის თვალით შეეძლოს განხილვა სამერმისო შენობისათვის საჭირო მასალისა.

გ. მაიაშვილი

(შემდეგი იქნება)

თთვის, იმ ადგაგს — კიდევ თთვისა და ნახევრისათ. მიზეზი იმისა, რომ მშობელი თავისს ღვიძლს შვილს იმეტებს, დედობრივს სიყვარულსა სთმობს და თავისს ნაშობს კარის-კარს სათრევლადა ჰხდის, რასაკვირველია, მრავალია, მაგრამ უფრო ხშირად-კი ის არის, რომ თითონ თავი არა აქვს უმაწვილის მოვლისა და გაზრდისა, არც ქონება შესწევს და არც უმართავს ხელსა. უეჭველია, ის დედა, რომელიც თავისს ღვიძლს ნაშობს, ასე უდიერად ეკიდება, მეტად უილაჯოა, ლუკმა პურის მოპოვების შრომასა ჰკავს ჩათრეული და ორში ერთი უნდა ამოირჩიოს: ან შიმშილით სიკვდილს არ გაექცეს, შრომას თავი დაანებოს და შვილის ზრდას შეუდგეს, ან შვილი დასთმოს და ინაცვალოს, ის ლუკმა პური არ გაიწყვიტოს, რომელსაც თავისს მაჯასა და მკლავს აღებინებს. რაც დრო გადის, ასეთის უილაჯობის მაგალითი უფრო ხშირდება, ჩვენში კიდევ ისე არა, როგორც რუსეთში და განსაკუთრებით-კი უცხო სახელმწიფოებში, სადაც დედა-კაცები ლუკმა პურისათვის დილით საღამომდის ფაბრიკებსა და ქარხნები შრომობენ და არამც თუ შვილისა, თავისის თავის მოვლის დროც არა აქვთ. ამიტომ ეს ცხოვრების ბოროტი ეხლა განათლებულს ქვეყნებში დიდს ყურადღებას იქცევს და ყველა იმას ჰფიქრობს, რომ ამ ვარამს წამალი უნდა დაედოსო. პარიჟში ამას წინად ამ დედის მზრუნველობა მოკლებულ უმაწვილებისათვის საზოგადოება დააარსეს, რომელსაც ეწოდება „Société Maternelle Parisienne“ („პარიჟის დედათა საზოგადოება“). ამ საზოგადოებას ყველა დიდის თანაგრძნობით მოეკიდა და, სხვათა შორის, საფრანგეთის გამოჩენილმა რომანისტმა ემილ ზოლამ წერილი დაჰბეჭდა „Figaro“-ში „ბედნიერ დედათა მიმართ“. ავტორი სწერს, ბედნიერმა დედებმა უნდა მოიგონოთ, რომ უბედური მშობლები არიან ქვეყნად, მშობლები, რომელთაც თავიანთ შვილების აღზრდისათვის მოცალეობა არა აქვთ და რომელთა დახმარებასაც კაცთ-მოყვარეობა ვალად გვდებთო. წარმოიდგინეთ,

უმაწვილი ქალი 20—30 წლისაა და მაღაზიაში მსახურობს. დილიდგან საღამომდე ფეხზედა ტრიალებს, დიდს ძალს მუშტარს უძღვება და საღამომდე ისე იღლება და იქანცება, რომ სახლში დაბრუნების და დაძინების ილაჯი-ღა აქვს შერჩენილი. ასე დაუსვენებლივ შრომობს და მხოლოდ დიდის შრომითა და ჯაფით ჰშოულობს ლუკმა პურს. ან გსთქვათ, უმაწვილს ქალს დუქანი აქვს და თავად ჰვაჭრობს. თუ დუქანს მოშორდება მცირე ხნით, ისიც იმიტომ, რომ მოვალეებს ჩამოუაროს და საქონლის მოსატანად წავიდეს. შრომაშია მთელი დღე და ერთი წუთი მოცალეობა და თავისუფლება არა აქვს. ან კიდევ, გსთქვათ, უმაწვილი ქალი მასწავლებლობს. ფრანგულს ენასა და ან მუსიკას ასწავლის. ამასთანა სიღარიბე ძნელად წარმოსადგენია-კია. დაუდგრომლივ უნდა იარბინოს პარიჟში წვიმასა და ტალახიან დღესაც-კი, თავისი სიცოცხლე სრულიად სხვის შვილების გაწვრთნასა და აღზრდას უნდა შესწიროს, მთელი დღე თავისს ხელობას უნდა მოანდომოს და არც საკუთარი კერა ჰქონდეს, არც საკუთარი საკანე.

აგერ კიდევ უმაწვილი ქალი მოხელეს მისთხოვდა ვისმე, რომელსამე ფოსტის მოხელეს, ან რკინის გზის მწერალსა და ან კიდევ მაღაზიის ნოქარს. კაცი, გსთქვათ, წელიწადში აიღებს 1 500 — 2,000 ფრანკს; ქალი — 800—1,000 ფრანკს, იშვიათად მოხდება, თუ ორივემ 3,000 ფრანკის შოვნა შეიძლეს, ორთა შეერთებით რომ ვიანგარიშოთ. აგერ უმაწვილიც დაებადათ რა უნდა ჰქნან? ი. უნდა სათვალავში ნუ ჩავაგდებთ იმისთანა შემთხვევასაც, როცა უმაწვილი ქალი სულ ერთიან მოქანცულ-მოუძლურებულია საშუშაოთი, გაშორებას შეიძლება ჰკავს წელში მოღუნული და რძე აღარ მოეპოვება, რომ უმაწვილი ასაზრდოოს. თუნდა ისეც ვიანგარიშოთ, რომ ჯან-მრთელია და ჯან-საღი. როგორ უნდა უპატრონოს თავისს შვილს, როცა მთელს დღეს შრომას ანდომებს და ლუკმა პურის მოპოვების ზრუნვასა და თავის ტკივილშია? თუ საქმეს თავი დაანება და ძიძობა-დალაობა გაუწია თავისს შვილს, წელიწადში 1,000 ფრანკამდე შემოსავალი დაკლდება და სიღარიბეში ჩავცვივიან. მაშ რა ღონე უნდა იღონოს, თუ თავისს უმაწვილს ძუძუს ვერ მოაწოვებს, თუ დედობას ვერ გაუწევს და მშობიარობის მეორე დღესვე ფეხზედ უნდა წამოხტეს და სამუშაოზედ გაიჩქაროს, რადგან შეძლება არ შესწევს, რომ ძიძა დაიჭიროს და ამასთან იმდენი დროც არა აქვს, რომ თვალ-ყური ადევნოს ძიძას?

და აი რა მშვენიერს აზრს დაასდასკვნიან ხოლმე: ის ქალი, რომელიც თავისის შრომით სცხოვრობს პარიჟში, დედა არ უნდა გახდეს. ერთის სიტყვით, იმის მაგიერ, რომ დაასაჩუქრონ, დააჯილდოვონ, რადგან არსებობის ბრძოლაშია მამაცად ჩარეული, სჯიან კიდეც, აჯარიმებენ იმისთვის, რომ პატიოსნად და ადამიანურად იქცევოდა.

დასასრულ ზოლა მიჰმართავს და ამბობს, რომ: „დედებო, შეძლებულო, ბედნიერო მშობლებო, რომელთაც შვილები გვერდით გყავთ, მომისმინეთ! ნუ დაიშურებთ ამ ახალის საზოგადოებისათვის თქვენს წვლილს, ნურც ერთი თქვენთაგანი თუ შეუქცევს ზურგს „პარიჟის დედათა საზოგადოებას“ რადგან არც ერთმა თქვენთაგანმა არ უნდა მოუყრუოს ყური თავისს გულის-თქმასა და გულის ხმას. თუ თქვენ იმდენად ბედნიერნი ხართ, რომ თქვენს შვილებს არა ჰშორდებით და დღე უყველ თავს დასტრიალებთ, მოახერხეთ ისე, რომ მშრომელს დედებს, ხულ ცოტა, თავისის შვილების ათასში ერთხელ ნახვა მაინც შეეძლოთ, რომ დარწმუნდნენ, ჩვენი შვილებიც რიგიანად და წესიერად იზრდებიანო“.

## სახელდახელო

(ყბად-ახალები და წყალ-წასაღები ამბები)

მაისი, რომელსაც ჩვეულებურად ვარდობის თთვეც ეწოდება, მას აქეთ, რაც საადგილ-მამულო ბანკები დააარსეს ჩვენში, ბანკობის თთვედ გადაიქცა და მოსალოდნელია, ამიერიდგან ამ თთვეს სამი სახელი დაერქვას: მაისი, ვარდობის თვე და ბანკობის თვე. მაგრამ ისეთს ნიშნებსაც ვხედავთ, რომ შესაძლოა, მაისმა ვარდობის თვეობა დაჰკარგოს. თუ ასეთი სუსხიანი დარები დაიწყო, ვარდი-კი არა, ვგონებ, ეკალიც ვერ გადურჩეს დაუმზრალი... ყოველს შემთხვევაში ბანკობის თვეობა ხომ შერჩება და შერჩება. დადგება თუ არა მაისი, ამერთ თავად-აზნაურობა ტფილისში იკრიბება, ხოლო იმერთა—ქუთაისში. არის ერთი ბჭობა, თათბირი, ლაპარაკი და კამათი ბანკის და იმის ავ-კარგის შესახებ. გაიმართება ზომვა და წონვა ბანკის მოქმედებათა ცოდვა-მადლისა და დასასრულ არჩევნები.... ოჰ ეს არჩევნები! ამერთა ბანკის არჩევნები მაგდენად არაფერია, რადგანაც აქ ჰკუა გონება ჰმუშაობს, მსჯელობასა და მოსაზრებას აქვს ადგილი დათმობილი და ყოველისავე ამის გამო ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის არჩევნები უდავიდარაბოდ და უღრიანცელოდ ჩაივლის ხოლმე. ქუთაისის არჩევნები სულ სხვაა. იქ არჩევნები ჰქა-ქუხილია, ქარიშხალ-ქარაშოტია, ერთის სიტყვით, რაც არ გინდათ, ყველაფერია და რაც გინდათ, არაფერია. ეხლა ქუთაისში ის დროა, როცა ზუთხი ერთი ორად და ერთი ოთხად ფასობს, როცა ვარიებს საარაკო ფასი ედებ. და ყველა სასტუმრო გაჭედილ გაჭიკინილია კენჭოსნებით. წელს მაინც ბანკის არჩევნებს წინამძღოლთა და დეპუტატთა არჩევნებიც დაერთო და, რაღა თქმა უნდა, დიდი ამბავი იქნება ქუთაისში.

ამ დღეებში გიახელით იმერეთიდამ და საჰტრედიისა და რიონის რკინის გზის სადგურებზე დიდ-ძალი თავად-აზნაურობა ვნახე, რომელიც ქუთაისს მიემგზავრებოდა. იმათის საუბრიდგან ადვილად გაიგებდა კაცი, თუ რა აზრითა და რა სურვილით არის აღჭურვილი კენჭოსანი მემამულე, როცა არჩევნებზე მიდის.

— ბატონო ქაიხოსრო!—ეკითხებოდა კენჭოსანს ერთი ევროპიულად ჩაცმული ახალგაზდა—როგორა ხართ, რას ეპირებით! ვინ უნდა გააშავოთ, ვინ უნდა გაათეთროთ წლევანდელს არჩევნებზე?

— გეტყობა, რომ „ბობში“ ხარ, ჯერ რა დროს მაგაზედ ლაპარაკია. ერთი ჩავიდე ქუთაისში, გაუნავარდ-გამოუნავარდო ამოსარჩევად დასახელებულთ, გავიგო იმათი პურ-მარილის გემო, ვნახო იმათი ხელ-გაშლილობა და შემდეგ მე ვიცი, ვინც უნდა გავათეთრო და ვინც უნდა გავაშავო.

ეს სიტყვები ქაიხოსრომ ისე თამამად და თავისუფლად წარმოსთქვა, რომ სრულიადაც კდემა და სირცხვილი არ დასჩნევია. იმის მაგიერად ახალგაზდა კაცს დაასხა სირცხვილის ოფლი და დამნაშავესავით ამრეზილი სასწრაფოდ გაშორდა თავისს მოსაუბრეს. ალბად ნანობდა, ეს რა სისულელე მომივიდა, რომ ამ კაცს დაველაპარაკეო.

ხოლო ქაიხოსრო სხვა კენჭოსნებს შეუერთდა და თავისებურად მოჰყვა:

— დიდი საქმეა, ვისაც წელს მარშალად და დეპუტატად აირჩევენ და დიდი საქმისათვის, რასაკვირველია, დიდს მამაპაპობასაც გადიხდიან. რა ვნაღვლობთ, მერე ხომ ერთი ორად ამოიღებენ! სამეგრელოს თავად-აზნაურთა გვაროვნობის საქმე იმათ ექნებათ მინდობილი... მე წინდაწინვე ვიცი, რომ ამ არჩევნებზე კენჭს კაი ფასი დაედება—თავის ქნევით ამბობდა ქაიხოსრო, რომლის წინააღმდეგ არც ერთს კენჭოსანს არაფერი არ უთქვამს.

კარგი სურათია და უკეთესი ხომ თითონ არჩევნებ ის დროს იქნება. ვნახოთ და გავიგოთ.

კალამი

## ნამცეც-ქუცმაცი

იმერეთში ქალაქთა შორის ფოთიც არის გამორეული, მაგრამ ვაი იმ გამორევასა და იმის გაქალაქებას. ქალაქი ეწოდება, მაგრამ სახელი ხომ ყოველთვის ვერ სახრავს და ბისტ-გადაკრულმა, რაც უნდა „თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარო“ იძახოს, მაინც თვალ-ხილული ხომ ვერ შეიქნება და ხომ ვერას დაინახავს. მოგეხსენებათ, ქალაქს ადგილებში ცხოვრება დუღს, ქაფს იგდებს პირზედ და გადმოდის კიდეც, ფოთში-კი ცხოვრების ქვაბი ისე საცოდავად არის გამშრალ-განელებული, რომ, დუღილს ვინღა იჩივის, ნეტა სულ არ გაცივდეს, არ გათოშდეს და ყინულად არ შეიკრას პირი. ფოთი ასი ათასს მილიონში ერთხელ შფოთსაც ელირსება ხოლმე და ისიც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქალაქის არაარსებულ საქმეებისათვის საქალაქო გამგეობა აქვს დაარსებული, და გამგეობა იქნება ისეთი, რომ გამგე საქმის მწარმოებელი და მდივანი არა ჰყავდეს, თუნდაც ფოთისამებრ არც საგამგებრო ჰქონდეს რამე, არც საწარმოებელი და არც სამდივნო?

ამ დროს მართლა ისე გამოფხიზლდება ხოლმე ფოთი და თვალებს მოიფშვნეტს, ისე გამოიღვიძებს ხოლმე იქაურობა, რომ ბაყაყებიც კი ყაყანს უფრო ხმა მაღლა ასტეხავენ, ის ბაყაყებში, რომელთაც დიდ-ძალი ადგილი უჭირავთ ამ ქალაქში, დასაფასებელი ადგილისას-კი არას იხდიან და მათი რიცხვიც მცხოვრებთ რიცხვს ერთი სამად სჭარბობს. გაუვლის ავად თუ კარგად ეს ფოთის შფოთიც და მიწყნარდება და მიჩუმდება, სალაღას ძილს მიეცემა იქაურობა, აღარა არღვევს-რა, სამარებური დუმილია და მყუდროება, ცხვირსაც-კი ერთსა და იმავე დროზედ აცემინებენ იქაურნი მკვიდრნი და „ღვთის წყალობასაც“ ერთს დროზედ ურთავენ. ამ სიჩუმეში და დუმილში მხოლოდ ნელის, წყნარის ხმით, „პიანისიმოდ“ გაისმის ბაყაყების მწყობრი კონცერტი ქალაქის ოთხ-კუთხივ. ასე წარმოიდგინეთ, არტისტებიც-კი უფრთხიან ამ ქალაქს და აღაჯის სიახლოვეს არ ეკარებიან, რადგან ერთხელ ორი რუსეთის მომღერალი მივიდა თურმე რკინის გზის სადგურზედ, ბაყაყების კონცერტი მოისმათ და იკითხეს:

— ხალხი ბევრი დადისო?

— ბაღლების მეტი, ერთი კაციც აბა ვინ მივა, უსაქმური ვინაათ, გაიგონეს პასუხად, ქვა მიაგდეს და გაბრუნდნენ: იმათ რა ხეირი აქვთ, ჩვენ რა ვიხეიროთ აქაო. საწყალო მომღერლებს ბაყაყებიც თავიანთსავით მოკონცერტეები ეგონათ თურმე და მოშორდნენ.

ეს არის და ეს, უამისოდ ფოთის ცხოვრების ზღვა მდორედ, აშმორებით მიმდინარეობს და, ქაფს-კი არა, ბწია ჩალასაც არ მოიგდებს ხოლმე პირზედ. ჭორიც-კი არ არის ამ მოწყენილს ქალაქში გორსა და ხანსავით, რომ ადამიანმა გული იმითი მაინც გაირთოს და გაიყოლიოს. ერთის სიტყვით, ფოთელებს ან სულ სძინავთ და ხვრინავენ, ან თუ ღვიძავთ, იზმორებიან და ამთქნარებენ.

მათ უფრო გავიცდით, ათასად გავიცდით, ათი ათასად გავკვირდით, როცა ამ ქალაქის ერთის მკვიდრისაგან ამას წინად ერთი სამდურავის წერილი მოგვივიდა. ეს ბატონი გვემდურის, რომ „ბევრი რამეები მომხდარა ჩვენს ფოთში და თქვენს გაზეთში-კი არ ჩაწერილაო“. მოდი და ნუ გაოცდებით, ფოთში „რამეები“ მომხდარა, ისიც ბევრი, და ჩვენ-კი თურმე არა ვიცით რა. რა ვქნა, რა უნდა მომხდარიყო, ბაყაყები ხომ არსად გადასახლდნენ ამ ქვეყნიდგან და ობლად არ დასტოვეს აქაურები?... ასეთი შესანიშნავი ამბავი რომ მომხდარიყო, თვით ეს სამდურავის მომწერიც რომ იტყოდა. არა, ღმერთი ასე სასტიკად არ გამოიმეტებდა ფოთელებს, სამდურავის მომწერი დასცინის ფოთის ცხოვრებას და ძალიან მახვილადაც დასცინის. დიაღ, არაფერი მომხდარა, მოხდა მხოლოდ ის, რომ ერთმა ფოთელმა კარგა ხნის ძილს შემდეგ კალამი აიღო ხელში და ორიოდე სიტყვა მოიწერა ტფილისში; მართო ეს მოხდა და სიამოვნებით აღვნიშნავთ ფოთის ცხოვრების ამ შესანიშნავს მოვლენას, ვწერთ გაზეთში და საყოველთაოდ ვაცხადებთ, რადგან, როცა კაცს სულ მუდამ სძინავს და ხვრინავს, იმ ს გაჩუჩუნება და ხელის გაქნევაც ერთ რამედა ჰღირს!

დუშიკო

### საარხეოლოგიო შენიშვნა

(წერილი მოსკოვიდამ)

მოსკოვის ერთს პატარა ეკკლესიაში აღმოჩნდა ქართული გარდამოხსნა, ოქრომკედით ნაკერი და გარეშემო სურათებით შემკული. ხუცური ქვემოწერილი გვაუწყებს, რა დროს უნდა დაახლოვებით ვაკუთნოთ ეს შესანიშნავი და საყურადღებო ხელოვნების ნაშთი: „ქრისტე ღმერთო ჯვარცმისა გარდამოხსნისა და საფლავისა და აღდგომისა შენისა მადლითა შეეწიე და დაიხსენ ყოვლისა ბოროტისაგან სული კურთხეულისა პატრონ მეფეთ მეფისა ბაგრატისა და თანა მეცხედრისა მათისა პატრონისა ელენესი და ძეთა მათთა ამინ“.

რადგან თარიღი არ უზის ამ მინაწერს და არც სხვა ისტორიული პირები არიან მოხსენებულნი, ამიტომ ძნელია გადაწყვეტით ითქვას, რომელს ბაგრატს იხსენიებს გარდამოხსნა. ჩვენ ვიცით ბაგრატ IV, ძე გიორგი I, მეფე ქართლისა და აფხაზეთისა (1027—1072), რომელსაც ჰყავდა მეუღლედ ელენე, ასული ბიზანტიის იმპერატორისა, რომან III არგირისა. ისტორია

იხსენიებს კიდევ ბაგრატ მე-III, იმერეთის მეფეს († 1548) და მისს მეუღლეს ელენეს, რაჭის ერისთავის ასულს. ეს მეფეც თავისს თავს მეფეთ მეფედ უწოდებდა (ნახე brosset voyage archeol. XI, 16 და გ. წერეთელი Собраніе надписей гелатскаго монастыря გვ. 12). რაკი ამ გარდამოხსნის მინაწერი იხსენიებს მხოლოდ მეფეს ბაგრატს და დედოფალს ელენეს, რომელთა სახელები ერთ ნაირად გვხვდება მე-XI და მე-XVI საუკ. ამიტომ ვერ ვბედავთ, დაბეჯითებით გადავწყვიტოთ, რომელ ბაგრატის დროს ეკუთვნის ეს ნაშთი. ასომთავრული ხუცური, რომლითაც არის ნაწერი ზედ-წარწერა ვერ გვიშველის კითხვის გარდაწყვეტაში, რადგან მე-XVI საუკ. ამ ხელს ხმარობდნენ არა ნაკლებ მე-XI საუკ.

ა. ხახანაშვილი.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ უმორჩილესად თქვენის გაზეთის საშუალებით გამოგვაცხადებინოთ გულითადი მადლობა ჩვენ და პატიმართ მაგიერ ქ-ნს ე. კლდიაშვილისა და ბ-ნ თედო სახოკიასათვის. პირველისაგან მივიღეთ წიგნთსაცავის სასარგებლოდ 1) სიტყვანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა 2) იმედი 1882 წ. ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეისა, 3) საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე, 4) საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე. მეორისაგან მივიღეთ ფრანგულით ნათარგმნი „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“. ყველა ესენი შეტანილ არიან სიაში კუთვნილებისამებრ. კვალად ვითხოვთ ყველა თანამგრძნობელ, რომ ჩვენი თხოვნა არ დასტოვონ უყურადღებოდ და მიჰბაძონ შემომწირველებს შეძლებისამებრ.

წიგნთსაცავის გამგე, თელავის საპატიმროს მღვდელი მიხეილ

ხელაშვილი.

---

## დ ე პ ე შ ა

4 მაისი

პეტერბურგი. გენერალ-ადმირალის დეპეშის პასუხად მემკვიდრე ცესარევიჩის სასწაულებრივის გადარჩენის გამო, ხელმწიფე იმპერატორმა ინება და მისწერა: „ბედნიერი ვარ, რაკი შევიტყე, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი მშვიდობით დაბრუნებულა ესკადრასთან ფრეგატ „Память Азова“-სთან სადაც სიყვარულითა და ერთგულებით გარს შემოჰხვევიან ჩვენი ყოჩაღი ზღვაოსნები“.

„Петерб. Листокъ“-ი იუწყება, რომ უმთავრესი მოგება 1 მაისის ტირაჟისა ჰრგებია პეტერბურგელ ალაფს კარეტნიკოვს.

ლონდონი. აქაურმა იაპონიის საელჩომ გაუგზავნა გაზეთებს შემდეგ ნაწყვეტი იმ დეპეშისა, რომელიც საელჩომ მიიღო იაპონიის მინისტრისაგან:

„მობრძანდა თუ არა მემკვიდრე ცესარევიჩი კიოტოს, მაშინვე ყველა შეიტყო, რომ ჭრილობა საშიში არ იყო. მისი უმაღლესობა ჩვეულებრივის თავაზიანობით მუსაიფობდა. და მორჩენის იმედი უეჭველია. ძილი კარგი აქვს; ციებით არ აციებს. პრინცი კატაშირაკავა და გარეშე საქმეთა მინისტრი დაუყოვნებლივ წავიდნენ კიოტოს. იმპერატორი მიბრძანდა კიოტოს სამშაბათს, საღამოს 10 საათზედ, ხოლო ოთხშაბათს დილით იმუსაიფა მემკვიდრე ცესარევიჩთან. ამ სამწუხარო ამბავმა დიდად დაალონა მთელი იაპონია. ეჭვი არ არის, რომ დამნაშავე ფანატიკოსია“.

ლონდონს მცხოვრებნი იაპონიელნი შეიკრიბნენ ერთად და გამოაცხადეს, რომ კიოტოს მომხდარი ამბავი ღრმად შემაძრწუნებელი ამბავიაო. სასიხარულოა, რომ წყლული საშიში არ აღმოჩნდა და იმედია მემკვიდრე ცესარევიჩი მალე უკეთ შეიქმნება.

„Morniny Post“-ი ამბობს, რომ რუსეთის საიმპერატორო სახლეულობას ისეთი ახლო ნათესაობა აქვს ინგლისის სამეფო სახლეულობასთანაო, რომ მისი მწუხარება ინგლისისათვისაც დიდად სამწუხაროაო და რომ, ათასში ერთხელ თუ უსიამოვნება ჩამოგვივარდება ხოლმე, მით მაინც ასეთი უსიამოვნება ვერას-გზით ვერ შეარყევს ინგლისელთა დიდის პატივის-ცემის გრძნობას საიმპერატორო სახლეულობის მიმართო.

ათინა. გუშინ კორფუს კუნძულზე ორი ებრაელი კიდევ იქმნა მოკლული. მღელვარება ძლიერდება.

ბრიუსელი. გუშინ მოხდა მანიფესტაცია კონსტიტუციის გადასინჯვის სასარგებლოდ. მანიფესტაციამ საღამომდე გასტანა. ხალხი მღეროდა მარსელიეზას; რამდენგანმე პოლიცია და ხალხი შეეტაკა ერთმანერთს; ბევრი დაპატიმრებულ იქმნენ.

ბერლინი. გერმანიის ბანკმა ასწია ოფიციალური დისკონტი 4% მდე.

ათინა. კორფუს მივიდა ინგლისის გემი. საქმე ახლა ცოტა უკეთ არის. მთავრობამ სასტიკი ღონის ძიებანი მიიღო. ქალაქი წინანდებულად ისევ ჯარს უჭირავს. ზოგიერთი მოხელენი პრეფიქტურისა გამოცვლილ იქმნენ; კუნძულისკენ გაგზავნილ იქმნა სხვა გემებიცა. იმედი აქვთ, რომ ხალხი მალე დამშვიდდება.

სოფია. რეზოვი და ლიზარო, რომელნიც მაიჩნიათ ბელჩევის მკვლელების ამხანაგებათ, შეპყრობილ იქმნენ რუმინიაში; რუმინია დასთანხმდება და მისცემს იმათ ბოლგარიას.

პეტერბურგის ბირჟა 26 აპრილი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 222 | — „ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლით.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლით).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან გელენჯიკიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

---

# განცხადებანი

### ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოხსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის ხმიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელ-ნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—3)

---

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარ. თ. სახოკიასი. | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდის ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| სამძლვარი ზეცისა. . . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძნ... . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

---


საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (LURBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურსადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნინომე გვერდით.

ესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—10)


---


## მუშა-კაცნი და მუშა-ქალნი ახალგაზდანი

(14-დგან 18 წლამდე)

და აგრეთვე **მთელი სახლობანი**

საჭირონი არიან სამუშაოდ

წუმწუმის ახალს ფაბრიკაში ვერას იქით

ფაბრიკასთანვე არის იაფის ფასის სადგომები. (5—3)


---


«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედანით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. ყდისათვის დამატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. ყდისათვის დამატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.


Доз. Цен. Тифлисъ, 4-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Меликовской ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.